საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/121

ქ. ბათუმი 20 სექტემბერი, 2018 წ.

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ოზერ ოზთურქისათვის ქართულ ენაში გასაუბრებისა და სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ საგანში (სპეციალობაში) გამოცდის ჩატარების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224/ნ ბრძანების, ,,საქართველოში გაცემული საგანმანათლებლო დოკუმენტების ნამდვილობის დადასტურებისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების წესისა და საფასურების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N98/ნ ბრძანების, ,,ბსუ-ში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების ჩარიცხვის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 1 მარტის N34 დადგენილების, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან გასაუბრების ჩასატარებლად გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 12 ივლისის N01-08/85 ბრძანების, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის მსურველ პირებთან საგანმანათლებლო პროგრამის ენაში გასაუბრების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ” ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 25 ივლისის №01-08/95 ბრძანების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის 2018 წლის 18 სექტემბრის №1153889 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნირებათა ფაკულტეტის ლინგვისტიკის სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქე ოზერ ოზთურქს ჩაუტარდეს ქართულ ენაში გასაუბრება და სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ საგანში (სპეციალობაში) გამოცდა 2018 წლის 20 სექტემბერს.

2. ოზერ ოზთურქთან ქართულ ენაში გასაუბრება ჩატარდეს ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 12 ივლისის 01-08/85 და 2018 წლის 25 ივლისის N01-08/95 ბრძანების შესაბამისად.
3. ოზერ ოზთურქთან ჩატარებული გასაუბრების ვიდეოჩანაწერი იქნეს დაარქივებული და მიეწოდოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტსა და ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს.
4. ოზერ ოზთურქისათვის გამოცდების ჩატარება და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება (ინფორმირება) უზრუნველყოს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ადმინისტრაციამ.
5. ბრძანება სახელმძღვანელოდ და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**